ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
სამინისტრო

შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და სისტემური გარანტიების შექმნა 2025 წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში

აპრილი, 2026

2025 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინოვაციურ და ტექნოლოგიურ საქმიანობაში ჩართვისა და მათ საჭიროებებზე მორგებული შესაძლებლობების შექმნის მიზნით, რეგიონულ ტექნოპარკებში, რამდენიმე მიზნობრივი პროექტი განახორციელა კერძოდ, 2025 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, ახმეტის ტექნოპარკში, ელექტრონიკით დაინტერესებული პირებისთვის, ჩატარდა Arduino Robotics ტრენინგ-ვორქშოფი. კურსის ფარგლებში, მონაწილეებმა შეისწავლეს ელექტრონიკისა და პროგრამირების საფუძვლები და დააპროგრამირეს ჭკვიანი დაფა. პროექტში ჩართული იყო 14 მონაწილე, მათგან - 5 შშმ პირი.

ასევე, 18 დეკემბერს, ზუგდიდის ტექნოპარკში, შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში, ჩატარდა ვორქშოფი, სადაც მონაწილეები გაეცნენ სააგენტოს მანდატის და პროგრამების შესახებ ინფორმაციას. ამასთან, შეისწავლეს ლაზერულ მჭრელზე მუშაობის ტექნიკა და მისი გამოყენებით, შექმნეს საახალწლო აქსესუარები. გარდა ამისა, შშმ პირები ჩართულნი იყვნენ სააგენტოს შემდეგ პროექტებში/კურსებში: ინოვაციური აზროვნების ტური - კახეთი; ინოვაციური აზროვნების ტური - გურია; The Biodiversity Finance Initiative; Smart Comminity კვირეული ახმეტაში; How Do Robots Help Us - ტრენინგი ახმეტაში; Little Bits; 3D ინოვატორი; 3D მოდელირების ვორქშოფი; Smart School Builders - კასპი; Wix for Schools; კიბერუსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის საფუძვლები ციფრული მომავლისთვის; საუნივერსიტეტო კურსი თბილისში. აღნიშნულ პროექტებში, ჯამში მონაწილეობა მიიღო 27-მა შშმ პირმა.

დამატებით, საანგარიშო პერიოდში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ განახორციელა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა და ბარგის მომსახურების სამსახურის 13 თანამშრომლის გადამზადება ტრენინგით - "შშმპ და მათი ეტლის გამოყენების წესი", რაც უზრუნველყოფს მეტად ხელმისაწვდომ, უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს შშმ პირებისთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ "აწარმოე საქართველოში" აგრძელებს „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში, რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში, საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით ჩართულ იმ კომპანიებს, რომელთა 50%-ზე მეტი წილის მესაკუთრე არის საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ 5 პროცენტული პუნქტით გაზრდილი თანადაფინანსებით (არაუმეტეს 95%).

ამასთან, ყველა მოქმედი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი (თბილისში, თელავში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში) ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში, საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა თბილისში, ახალციხესა და ქუთაისში.

2025 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ“, საქართველოს აეროპორტებში, განახორციელა შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგი. შედეგად, შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით, შემოწმდა საქართველოში არსებული ყველა მოქმედი აეროპორტი (3 საერთაშორისო - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და 3 ადგილობრივი - მესტია, ამბროლაური, ნატახტარი).

ამას გარდა, სააგენტომ მოახდინა ოფიციალური ვებ-გვერდის - www.gcaa.ge ადაპტირება შშმ პირებისთვის. კერძოდ, განხორციელდა ხელმისაწვდომობის რეჟიმების (ეპილეფსიის უსაფრთხო რეჟიმი; ხედვის დარღვევების რეჟიმი; კოგნიტური შეზღუდვების რეჟიმი; ADHD-მეგობრული რეჟიმი; სიბრმავის რეჟიმი) ინტეგრაცია, ასევე, ვებგვერდის სტრუქტურისა და დიზაინის შესაბამისობა Web Content Accessibility Guidelines (WCAG) სტანდარტებთან.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა რკინიგზის ვებ-გვერდზე და შესაბამის სისტემაში, ეტლით მოსარგებლე პირების მიერ, ბილეთების შეძენის ფუნქციონალის უზრუნველყოფა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეტლით-მოსარგებლე მგზავრებზე ადაპტირებულია მხოლოდ „შტადლერის“ ტიპის მოძრავი შემადგენლობები, რომლებიც ემსახურებიან თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებას, სს "საქართველოს რკინიგზა"-სა და მისი კონტრაქტორი კომპანიების ვებ-გვერდებზეც ხორციელდება შშმ ეტლით მოსარგებლე პირთა საჭიროებებზე ადაპტირებული ადგილების რეალიზება, მხოლოდ თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებაზე. ამასთან, გრძელდება მუშაობა შშმ პირისა (რომელსაც აღნიშნული სტატუსი დატანილი აქვს პირადობის მოწმობაზე) და მისი ასისტენტისთვის შეღავათიანი ბილეთის შეძენის მექანიზმის დანერგვის მიზნით.

2025 წელს დამტკიცდა ოზურგეთის სამგზავრო ბაქანზე შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირებული ასასვლელი კიბეებისა და ლიფტების მოწყობის პროექტი და პროექტის შესაბამისად, დაიწყო სამგზავრო ბაქნის ადაპტირების პროცესი. ამასთან, განხორციელდა 9 სამგზავრო ბაქნის (ძეგვი, ქსანი, გომი, კორტანეთი, ფარცხანაყანევი, აგურის ქარხანა, ჭიათურა, მწვანე კონცხი, ბოტანიკური ბაღი) პროექტირება, რომლებიც, მშენებლობის შემდეგ ადაპტირებული იქნება შშმ და ეტლით მოსარგებლე პირების საჭიროებებზე. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონებში შშმ პირების მომსახურებას და გაზრდის მათთვის მატარებლით გადაადგილების ხელმისაწვდომობას.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 29 აპრილს, დამტკიცდა სსიპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ მომზადებული კანონპროექტი „საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ” (დოკუმენტის ნომერი - 508-IIმს-XIმპ; სარეგისტრაციო კოდი - 310010010.05.001.10260; მიღების თარიღი - 29/04/2025), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან საკანონმდებლო საფუძველს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირთათვის სარკინიგზო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საქართველოს სარკინიგზო კოდექსს დაემატა 375 მუხლი, რომლის თანახმადაც, სარკინიგზო საწარმომ ან/და რკინიგზის სადგურის მენეჯერმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, უნდა შეიმუშაოს მატარებლით მგზავრობის არადისკრიმინაციული წესები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, მისი დამხმარე პირისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირის გადასაყვანად. ასევე, სარკინიგზო საწარმომ და რკინიგზის სადგურის მენეჯერმა უნდა უზრუნველყონ, რომ პერსონალი, რომელიც საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, უშუალოდ უწევს დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირს, გადიოდეს სპეციალურ სასწავლო კურსებს შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და იცოდეს, როგორ გახადოს ხელმისაწვდომი ასეთი პირებისთვის რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის მომსახურება. პერსონალი აღნიშნულ სასწავლო კურსებს რეგულარულად უნდა გადიოდეს. სასწავლო კურსები უნდა ემსახურებოდეს პერსონალის მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და

გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირის საჭიროებების შესახებ ცნობიერების გაზრდას.

აღნიშნული კანონის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, დამატებითი მოთხოვნები და წესები განისაზღვრება რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესით.

დამატებით, სსიპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ, „რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ" ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2021 წლის 29 აპრილის 2021/782/EU დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, მომზადდა რკინიგზის მგზავრთა უფლებების დაცვის წესის პროექტი, რომელიც საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 64-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ, 2026 წლის 1 მაისამდე დამტკიცდება. აღნიშნული წესი დეტალურად მოაწესრიგებს შეზღუდული შესაძლებლობისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირების უფლებებს სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობისას და სარკინიგზო ოპერატორის მიერ, მომსახურების ფარგლებში დახმარების გაწევის სპეციალურ პირობებს აღნიშნული პირებისათვის. 2025 წლის 31 დეკემბერს სსიპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის, 2024 წლის 14 ივნისს გაფორმებულ №1370/2024 საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების (შეთანხმება № 1370/2024-5) თანახმად, სარკინიგზო ოპერატორმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირების გადაყვანა უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნულის თანხმად, სარკინიგზო ოპერატორს უნდა ჰყავდეს განსაზღვრული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირებისთვის შესაბამისი დახმარების გაწევას. ასევე, სარკინიგზო ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალმა, რომელიც საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, უშუალოდ უწევს დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირს, გაიაროს სპეციალური სწავლება შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურების ხარისხს და შექმნის სათანადო პირობებს შეზღუდული შესაძლებლობისა და გადაადგილების შეზღუდული უნარის მქონე პირებისთვის, რათა მათ დაუბრკოლებლად ისარგებლონ სარკინიგზო ტრანსპორტით.

დამატებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ ორგანიზებით, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის სრულად ადაპტირდა სსიპ ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მისაღებ სივრცემდე მისასვლელი მონაკვეთი. განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლიფტი და მოეწყო ლიფტამდე მისასვლელი ბილიკი. მოწყობილი სისტემა მნიშვნელოვნად ამარტივებს საზოგადოების ყველა წევრისთვის აკრედიტაციის ცენტრის სერვისებზე წვდომას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, ქ. ახალციხეში, აშენდა სსიპ - "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის ახალი ოფისი, რომელიც სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებებზე. კერძოდ, მოწყობილია შენობაში შესასვლელი პანდუსები, შშმ პირებზე ადაპტირებული ლიფტი და საპირფარეშო. 2025

წელს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, შშმ პირთა მომსახურებისთვის განხორციელდა დამატებითი ტექნიკის "Ambulift"-ის (ელექტრო ეტლი და სპეც. ტექნიკა საჰაერო ხომალდში შშმ-პირის ჩასხდომისათვის განკუთვნილი სპეციალური ტრანსპორტი ამწით) შესყიდვა და ექსპლუატაციაში გაშვება. დამატებით, საანგარიშო პერიოდში, ამავე აეროპორტში, განხორციელდა შშმ პირთა მომსახურების აგენტის 8 ახალი საშტატო ერთეულის (ცვლაში 2 თანამშრომელი) დამატება. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველჰყოფს აეროპორტში, შშმ პირების უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.